



**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #016/18¹ რეკომენდაციის
მოკლე მიმოხილვა**

მარიამ ჩიბურდანიძე (სტუდენტი)

კითხვა:

ადვოკატს აკისრია თუ არა გარკვეული პასუხისმგებლობა მისი თანაშემწის ან სტაჟიორის წინაშე პროფესიული ეთიკური ვალდებულებებიდან გამომდინარე?

ანალიზი:

აპკ-ის 4.5 მუხლით ადვოკატმა „მის პარტნიორებს, თანამშრომლებს ან სხვა პირებს უნდა მოსთხოვოს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა“. აპკ-ის მე-11.1 მუხლით „ეთიკის კოდექსი ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც მოქმედებენ ადვოკატის დავალებით ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას“.

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას ეთიკური ვალდებულება მის მიერ მოწვეული პირების (თანამშრომლების, თანაშემწის, სტაჟიორის) კლიენტის საქმისწარმოებაში ჩართვის დროს. ადვოკატმა აღნიშნულ პირებს უნდა მოსთხოვოს კონფიდენციალობის პრინციპის დაცვა. ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობა ვრცელდება იმ პირზე, ვინც მისი სახელით ან დავალებით მოქმედებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადვოკატმა ყველა გონივრული შესაძლებლობა გამოიყენა, იმისათვის რომ ზემოაღნიშნული პირს ემოქმედა ეთიკური ვალდებულებების შესაბამისად.

დასკვნა:

ადვოკატს აკისრია გარკვეული პასუხისმგებლობები სტაჟიორის ან თანაშემწის მიერ ეთიკური ვალდებულებების დარღვევის დროს.

¹ <https://gba.ge/pdf/5c7fc55e6b825.pdf/zepiri%20016.18%20gacemis%20tarigi%2017.10.2018.pdf>